პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დღიური საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 23 აპრილი, 1949 წ. № 80 (8383). ფასი 20 კაპ.

კომკავშირული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

საკავშირო ალკკ XI ყრილობამ, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ დაამთავრა მუშაობა, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი მიიღო. ეს გადაწყვეტილებანი საფუძვლად უნდა დაედოს კომკავშირის მთელ შემდგომ საქმიანობას.

ყრილობაზე, რომელმაც შეაჯამა ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის გაწეული დიდი მუშაობა, შესანიშნავი მიღწევებით დასრულდა საქართველოს კომკავშირიც— საკავშირო ალკკ ერთ-ერთი მოწინავე რაზი. იგი ღირსეულად ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთგული და საიმედო თანაშემწის მოვალეობას, წარმატებით რაზმავს ახალგაზრდობას მეოთხე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სეროიელ მუშაობას ეწევა ახალი თაობის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საქართველოს მშრომელთა მიერ ბოლოწლედის განვლილი სამი წლის განძლზე მოპოვებულ მიღწევებში რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მაღაროებსა და შახტებში მომუშავე ასობით ახალგაზრდამ ეს შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა და ახლა შემდგომი წლების ანგარიშში მუშაობს. საკავშირო ალკკ XI ყრილობის აღსანიშნავად მარტო თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გეგმის გადაჭარბებით დაამზადეს 165 დაზგა, 30.000 კილოგრამი ნართი, 85.000 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, შეაგროვეს 350 ტონა ფანი და 20 ტონა ფერადი ლითონის ჯართი, შეაკეთეს 12 ორთქლმავალი. დიდია საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის მიღწევებიც. კოლმეურნე ახალგაზრდობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს მარცვლეულისა, სუბტროპიკული, ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის აღორძინებისათვის ბრძოლაში.

გაუმჯობესდა კომკავშირში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. უკეთესად მუშაობს კომკავშირული პოლიტიკური განათლების წესელი. მეტი ოდენობით და მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა ახალგაზრდობისათვის ლექციები და მოხსენებები ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, საერთაშორისო მდგომარეობის, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

გაძლიერდა კომკავშირის მუშაობა სკოლაში. კომკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად ეხმარებიან პედაგოგიურ პერსონალს სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისა და შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი გაგზავნილ მისალმებაში მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის მთელ მუშაობას, უჩვენა გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს კომკავშირის შემდგომი საქმიანობა.

„ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს წყვეტს, უფრო მეტად იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. კომკავშირმა ახალგაზრდობაში უნდა აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისთვის ბადაწყოფი მებრძოლები ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება და ყრილობის გადაწყვეტილებანი საფუძვლად უნდა დაედოს კომკავშირის მთელ მოღვაწეობას, იმ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებისათვის ბრძოლას, რომლებიც კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლება წარსულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, კომკავშირელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმული არ არის სწავლაში. მოქმედი კომკავშირული პოლიტსკოლებისა და წრეების ნაწილი სუსტად მუშაობს, მეცადინეობა უინტერესოდ ეწყობა, კომკავშირელ პროპაგანდისტთა ერთი ნაწილი სუსტი და მოუმზადებელია.

საქართველოს კომკავშირის უპირველესი ამოცანაა გადაჭრით გაუჯობესოს იდეოლოგიური მუშაობა როგორც თავის წევრებს შორის, ისე მთელ ახალგაზრდობაში. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ ახალგაზრდობა თავიდანვე იზრდებოდეს კომუნისტური, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რომ კომკავშირის გავლენა მთელ ახალგაზრდობაზე ვრცელდებოდეს. ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდა უნდა მუშაობდეს თავისი პოლიტიკური განათლების ასამაღლებლად. საჭიროა მაღალ იდეურ დონეზე, სიინტერესოდ ეწყობოდეს კომკავშირული პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობა, რომ ისინი ნამდვილად აიარაღებდნენ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას თეორიული ცოდნით, ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით. ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ხელმძღვანელი კომკავშირული აქტივის თეორიული დონის ამაღლება, რადგან სწორედ ეს არის მთავარი მთელი კომკავშირული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა რა პოლიტწვრთნების მოწყობის საქმეში კომკავშირისადმი პარტიული ორგანიზაციების დახმარების გაძლიერების აუცილებლობას, ამბობდა: „საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად ხვდებოდნენ ახალგაზრდობას, გამოიღიღონენ მის კრებებზე მოხსენებებით, აწყობდნენ მასთან საუბრებს. დღემდე კი ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ძალიან ცოტას აკეთებენ ამ მიმართულებით“. იდეოლოგიური მუშაობა კომკავშირში მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში უნდა მიმდინარეობდეს.

სკოლა კომკავშირის მუშაობის ცენტრალური უბანია. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ საკავშირო ალკკ XI ყრილობამ სპეციალურად მოისმინა მოხსენება სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ. ამ დარგში კომკავშირს გარკვეული მიღწევები აქვს, მაგრამ ნაკლოვანებანი მაინც არის. მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მოსწავლეთა ღრმა და მტკიცე ცოდნისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის. არის ორწლიანობა, ზოგიერთი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია არ იჩენს მომთხოვნელობას იმ კომკავშირელებისადმი, რომლებიც ცუდად სწავლობენ, დისციპლინას არღვევენ. არის სხვა ხასიათის ნაკლიც: მოსწავლეთა, განსაკუთრებით კომკავშირული და პიონერული აქტივის გადატვირთვა საზოგადოებრივი და არასასწავლო მუშაობით, რაც გაელენას ახდენს მათი მეცადინეობის ხარისხზე. კომკავშირული ორგანიზაციები მხარში უნდა ამოუდგნენ სკოლას, დაეხმარონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, თავიანთი მუშაობა შეუფარდონ სასწავლო პროცესს, ჩაუნერგონ მოსწავლეებს შრომისადმი სიყვარული, დროის წესიერად და ნაყოფიერად გამოყენების უნარი, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ საშუალო სკოლამ აღზარდოს ძირითადი საგანმათლებლო დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული, გონებრივად მომწიფებული ახალგაზრდობა.

რუსული ენის, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესის გაღვივებაში სკოლასთან ერთად დიდი როლი უნდა შეასრულონ სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. სკოლებში მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური წრეების გაშლა, ტექნიკური სადგურების საქმიანობის გაუმჯობესება, ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერება კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

საკავშირო ალკკ XI ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულება, მთელი კომკავშირული მუშაობის ახალ მაღალ საფეხურზე აყვანა, რათა თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია მჩქეფარე, სიცხოველსავსე ცხოვრებით ცხოვრობდეს, უზრუნველყოფდეს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მის აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომუნიზმის მშენებლობაში, — ასეთია საქართველოს კომკავშირის საბრძოლო ამოცანა.

მოწინავე მაღაროელები

ბიათურა. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც მარტში დადგინის სასაქონლო პროდუქციის დაბზადების გეგმა 127 პროცენტით შეასრულა და ამავე დროს 292.000 მანეთი დაზოგა. განსაკუთრებული შეწყობით იმუშავა მარგანეცის გამაუჯეველმა ფაბრიკამ, რომელსაც ინჟინერი ვ. საყიროძე ხელმძღვანელობს.

მაღაროს კოლექტივი თავადდებულად შრომობს დიადი დღესასწაულის — პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებით, შემოსავლის ნაწილში 2.500.045 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.500.045 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1950 წლის 1 იანვრისათვის 68.627 ათასი მანეთი.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1949 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი—2.284.465 ათასი მანეთი, გასავალი—1.110.786 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.173.670 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1950 წლის 1 იანვრისათვის 26.988 ათასი მანეთი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1949 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან	ანარიცხები სამოქალაქო შემოსავლიდან	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების ნარჩენები 1950 წ. 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	148.018	124.956	—		148.018	4.410
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	112.012	90.756	—		112.012	3.330
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	59.226	33.165	23.525		59.226	1.770
4. ქალაქი თბილისი	273.029	178.328	—		273.029	8.145
5. ქალაქი ქუთაისი	42.125	27.319	—		42.125	1.251
6. ქალაქი ფოთი	16.932	12.615	—		16.932	507
7. ქალაქი ჭიათურა	9.515	8.097	—		9.515	285
8. ქალაქი რუსთავი	4.920	4.415	—		4.920	147
9. აბაშის რაიონი	11.489	10.069	—		11.489	345
10. ადიგენის რაიონი	8.291	4.082	3.679		8.291	306
11. ამბროლაურის რაიონი	11.977	11.10[illegible]	—		11.977	359
12. ასპინძის რაიონი	6.638	2.288	4.149		6.638	254
13. ახალქალაქის რაიონი	15.919	14.947	—		15.919	477
14. ახალციხის რაიონი	15.305	13.455	—		15.305	459
15. ახმეტის რაიონი	10.781	10.403	—		10.781	323
16. ბოგდანოვკის რაიონი	8.284	6.265	1.813		8.284	249
17. ბოლნისის რაიონი	10.847	10.215	—		10.847	325
18. ბორჯომის რაიონი	13.866	12.027	—		13.866	413
19. გარდაბნის რაიონი	5.831	3.122	2.467		5.831	173
20. გეგეჭკორის რაიონი	17.854	9.366	7.896		17.854	536
21. გორის რაიონი	30.619	27.281	—		30.619	900
22. გურჯაანის რაიონი	13.084	11.928	—		13.084	393
23. დმანისის რაიონი	11.026	7.523	3.209		11.026	331
24. დუშეთის რაიონი	14.636	8.466	5.649		14.636	439
25. ვანის რაიონი	12.022	4.983	6.566		12.022	361
26. ზემოსვანეთის რაიონი	7.725	3.578	4.017		7.725	232
27. ზესტაფონის რაიონი	17.695	15.294	—		17.695	531
28. ზუგდიდის რაიონი	26.979	23.900	—		26.979	809
29. თბილისის რაიონი	13.510	12.027	—		13.510	405
30. თეთრი წყაროს რაიონი	12.911	12.200	—		12.911	387
31. თელავის რაიონი	20.439	18.670	—		20.439	613
32. თიანეთის რაიონი	6.374	4.810	1.380		6.374	191
33. კასპის რაიონი	14.199	13.447	—		14.199	426
34. კაჩრეთის რაიონი	7.733	7.499	—		7.733	242
35. ლაგოდეხის რაიონი	13.895	12.773	—		13.895	417
36. ლანჩხუთის რაიონი	12.768	11.933	—		12.768	380
37. მაიაკოვსკის რაიონი	10.271	9.886	—		10.271	308
38. მარნეულის რაიონი	13.724	12.874	—		13.724	412
39. მახარაძის რაიონი	25.350	23.205	—		25.350	760
40. მცხეთის რაიონი	9.997	9.328	—		9.997	300
41. ონის რაიონი	11.354	4.069	6.859		11.354	341
42. ორჯონიკიძის რაიონი	12.175	6.067	5.651		12.175	365
43. საგარეჯოს რაიონი	9.990	9.620	—		9.990	300
44. სამტრედიის რაიონი	17.186	14.493	—		17.186	516
45. საჩხერის რაიონი	10.757	7.005	3.344		10.757	322
46. სიღნაღის რაიონი	15.391	13.865	—		15.391	460
47. ტყიბულის რაიონი	11.678	10.236	—		11.678	350
48. ქარელის რაიონი	11.449	10.887	—		11.449	343
49. ქედმო სვანეთის რაიონი	5.519	1.293	4.078		5.519	166
50. ქლუხორის რაიონი	11.862	3.961	7.146		11.862	356
51. ქუთაისის რაიონი	10.111	7.259	2.351		10.111	303
52. ყაზბეგის რაიონი	5.883	3.972	1.799		5.883	176
53. ყვარლის რაიონი	9.719	9.298	—		9.719	291
54. ჩოხატაურის რაიონი	12.340	6.482	5.200		12.340	370
55. ჩხარის რაიონი	8.967	5.200	3.457		8.967	269
56. ჩხოროწყუს რაიონი	9.094	6.185	2.624		9.094	273
57. ცაგერის რაიონი	10.193	9.834	—		10.193	306
58. ცხაკაიას რაიონი	16.906	14.513	—		16.906	507
59. წალენჯიხის რაიონი	10.074	6.867	2.925		10.074	302
60. წალკის რაიონი	13.597	13.152	—		13.597	408
61. წითელწყაროს რაიონი	10.036	9.138	—		10.036	298
62. წულუკიძის რაიონი	12.517	8.477	2.659		12.517	376
63. წყალტუბოს რაიონი	8.659	7.568	—		8.659	260
64. ჭიათურის რაიონი	10.178	9.905	—		10.178	305
65. ხაშურის რაიონი	17.052	14.871	—		17.052	512
66. ხობის რაიონი	8.756	8.420	—		8.756	263
სულ	1.389.259	1.061.236	112.443		1.389.259	41.639

4. დაწესდეს 1949 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტში გადასარიცხავად შემდეგი ოდენობით:

ა) არასასაქონლო ოპერაციებზე გადასახადიდან და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი.

ბ) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 50 პროცენტი.

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, სატყეო შემოსავლიდან, მოსახლეობაში გავრცელებული სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ შეიარაღებული ძალების, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	სატყეო შემოსავლიდან	მოსახლეობაში გავრცელებული სესხის ფასიანი ფურცლების ფასიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	60	25	25	50	50	40	28,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	50	50	25	25	50	40	16,3
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	50	50	100	50	40	100,0
4. ქალაქი თბილისი	13	—	—	17	—	50	5,0
5. ქალაქი ქუთაისი	25	—	—	25	—	40	5,9
6. ქალაქი ფოთი	50	50	50	50	50	40	8,7
7. ქალაქი ჭიათურა	50	—	—	25	—	40	7,4
8. ქალაქი რუსთავი	30	—	—	50	—	30	55,9
9. აბაშის რაიონი	100	80	25	50	—	50	30,1
10. ადიგენის რაიონი	100	64	50	50	50	50	100,0
11. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	50	60	88,0
12. ასპინძის რაიონი	100	100	100	50	50	50	100,0
13. ახალქალაქის რაიონი	85	50	50	50	—	50	92,9
14. ახალციხის რაიონი	25	25	25	25	50	50	19,4
15. ახმეტის რაიონი	100	100	80	100	—	50	100,0
16. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	—	50	100,0
17. ბოლნისის რაიონი	100	25	100	100	50	50	100,0
18. ბორჯომის რაიონი	50	25	15	50	50	50	12,5
19. გარდაბნის რაიონი	100	25	25	50	50	50	100,0
20. გეგეჭკორის რაიონი	100	100	50	100	50	92	100,0
21. გორის რაიონი	50	25	25	25	50	50	47,8
22. გურჯაანის რაიონი	50	25	25	50	50	50	65,3
23. დმანისის რაიონი	100	100	81	100	50	80	100,0
24. დუშეთის რაიონი	100	100	50	50	50	50	100,0
25. ვანის რაიონი	80	25	25	50	—	50	100,0
26. ზემო სვანეთის რაიონი	100	—	—	100	22,5	100	100,0
27. ზესტაფონის რაიონი	50	25	15	50	—	50	23,4
28. ზუგდიდის რაიონი	50	25	15	50	50	50	54,5
29. თბილისის რაიონი	50	25	25	25	50	50	92,1
30. თეთრი წყაროს რაიონი	100	100	100	100	50	75	92,6
31. თელავის რაიონი	50	30	20	50	50	50	44,8
32. თიანეთის რაიონი	100	100	85	50	50	83	100,0
33. კასპის რაიონი	25	25	15	25	50	50	64,9
34. კაჩრეთის რაიონი	100	100	100	100	—	60	95,3
35. ლაგოდეხის რაიონი	100	50	84	100	50	60	100,0
36. ლანჩხუთის რაიონი	50	50	50	50	—	50	96,9
37. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	50	75	83,1
38. მარნეულის რაიონი	50	25	25	50	—	50	38,5
39. მახარაძის რაიონი	50	25	25	50	50	50	38,7
40. მცხეთის რაიონი	100	50	50	100	50	50	84,9
41. ონის რაიონი	100	50	50	50	50	50	100,0
42. ორჯონიკიძის რაიონი	100	50	50	50	50	50	100,0
43. საგარეჯოს რაიონი	100	25	25	100	50	50	93,8
44. სამტრედიის რაიონი	50	25	25	50	—	50	11,7
45. საჩხერის რაიონი	100	50	50	100	50	96	100,0
46. სიღნაღის რაიონი	50	25	15	50	50	50	19,7
47. ტყიბულის რაიონი	50	50	25	50	50	50	30,9
48. ქარელის რაიონი	50	50	25	50	—	30	49,1
49. ქვემო სვანეთის რაიონი	100	100	—	50	—	50	100,0
50. ქლუხორის რაიონი	100	100	100	50	50	50	100,0
51. ქუთაისის რაიონი	100	50	84	60	50	50	100,0
52. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	50	—	50	100,0
53. ყვარლის რაიონი	100	100	100	50	50	95	100,0
54. ჩოხატაურის რაიონი	100	73	50	100	50	50	100,0
55. ჩხარის რაიონი	100	100	100	100	—	50	100,0
56. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	50	50	100,0
57. ცაგერის რაიონი	100	75	100	100	50	60	99,1
58. ცხაკაიას რაიონი	50	25	25	50	—	50	53,0
59. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	50	—	50	100,0
60. წალკის რაიონი	100	100	100	100	—	83	100,0
61. წითელწყაროს რაიონი	100	50	50	100	—	50	94,6
62. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	—	50	100,0
63. წყალტუბოს რაიონი	100	50	50	100	—	50	97,7
64. ჭიათურის რაიონი	100	50	100	100	—	60	92,2
65. ხაშურის რაიონი	50	50	25	50	50	50	37,3
66. ხობის რაიონი	100	50	100	100	—	75	99,0

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 2.251.683 ათასი მანეთი; გასავლის ნაწილში — 2.190.201 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 61.482 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეზნაურაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სამინისტროების გაერთიანებისა და გარდაქმნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამჯერებლობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1948 წლის 8 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1949 წლის 24 იანვრისა — „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 5 თებერვლისა — „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“.

2. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში, რომლებიც გამოიხატოს შემდეგნაირად:

მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ-ის მინისტრები:
აღგილმბრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კვების მრეწველობისა;
კინემატოგრაფიისა;
კომუნალური მეურნეობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
საგარეო საქმეთა;

(დასასრული მე-2 გვერდზე)

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სამინისტროების გაერთიანებისა და გარდაქმნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამგკიცების შესახებ

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
წყალთა მეურნეობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კვების მრეწველობისა;
კინემატოგრაფიისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საგარეო საქმეთა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

საქართველოს სსრ მინისტრებისა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამგკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად მემარნეშვილი **მიხეილ** გიორგის-ძე;

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად **ჯაბუა** გიორგი ანდრიას-ძე;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე;

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად რობაქიძე გიორგი **ბესელამიას-ძე**;

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად ნარსია მიხეილ ბახვას-ძე;

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად ბაქრაძე ვალერიან **შინას-ძე**;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა **სამმართველოს** უფროსად დოლიძე ისიდორე სამსონის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს **საბ**ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს **წევრებად:**

ბაღათურია დავით ისიდორეს-ძე,
გოგუაძე შუშანა იოსების ასული,
ზანგურია ოლღა გიორგის ასული,
ჭერესელიძე გრიგოლ დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამგკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 1 აპრილის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი.

ამხ. თ. ნ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი **საბჭო ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. დენატაშვილი

ქ. თბილისი, 1949 წლის 20 აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამგკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეკუგაგ ვ. ი. ეგნაგაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა ბრძანებულებანი, რომლებიც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი საბჭოს სესიამ უნდა დაამტკიცოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით საჯაროდ იქნა ცნობილი მოკავშირე რესპუბლიკათა „სატყეო მრეწველობის სამინისტროს“ გარდაქმნა „სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ“.

ამ ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით გარდაქმნა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, აგრეთვე მმართველობის აპარატის ხარჯების შემცირებისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით გაერთიანდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობისა და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროები მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ.

ამ ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 24 იანვრის ბრძანებულებით გაერთიანა მსუბუქი მრეწველობისა და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროები მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ.

კვების მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, კვების პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების, კვალიფიციური კადრების უკეთესად გამოყენებისა და მმართველობის აპარატის ხარჯების შემცირების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის კვების მრეწველობისა და საგემოვნო მრეწველობის სამინისტროები გაერთიანა კვების მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და საუჩირდა სცენ ასეთივე გაერთიანება მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

ამ ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 თებერვლის ბრძანებულებით გაერთიანდა კვების მრეწველობისა და საგემოვნო მრეწველობის სამინისტროები კვების მრეწველობის სამინისტროდ. გაერთიანებულ სამინისტროს გადაეცა მანამდე ცალცალკე არსებული სამინისტროების საწარმოები, საბჭოთა მეურნეობანი, შენებლობანი და ორგანიზაციები.

პრეზიდიუმს ეს ბრძანებულებანი შემოაქვს დასამტკიცებლად.

ჯკითხულობ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების პროექტს:

„საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნისა და გაერთიანების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების კანონი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1948 წლის 8 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1949 წლის 24 იანვრისა — „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 5 თებერვლისა — „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“.

2. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში, რომლებიც გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აქვნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრები:
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კვების მრეწველობისა;
კინემატოგრაფიისა;
კომუნალური მეურნეობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
საგარეო საქმეთა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
წყალთა მეურნეობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე“.

„მუხლი 55. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კვების მრეწველობისა;
კინემატოგრაფიისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საგარეო საქმეთა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 17 აგვისტოსი, 18 სექტემბრისა და 1949 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრი თავისი მოვალეობისაგან გაათავისუფლა, ხოლო 1948 წლის 31 აგვისტოსი, 27 ოქტომბრისა და 1949 წლის 5 აპრილის ბრძანებულებით უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა შეავსო.

შემომაქვს პრეზიდიუმის წინადადება უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ და პროექტი უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

ბაღათურია დავით ისიდორეს-ძე;
გოგუაძე შუშანა იოსების ასული;
ზანგურია ოლღა გიორგის ასული;
ჭერესელიძე გრიგოლ დიმიტრის-ძე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 26 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“.

ბრძანებულების თანახმად, საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს იყიდოს ან ააგოს პირადი საკუთრების უფლებით ერთი ან ორ-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ხუთ ოთახამდე ქალაქადაც და ქალაქ გარეთაც. მიწის ნაკვეთის გამოყოფა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის უკადო სარგებლობის წესით ხდება, ხოლო ნაკვეთზე აშენებული სახლი ამშენებლის პირად საკუთრებას შეადგენს.

ამ ბრძანებულების ზოგიერთი დებულება ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის კოდექსის II თავი (მუხლი 71 და 84²), რომელიც ითვალისწინებს მიწის გაცვლას შენობების, მათ შორის საცხოვრებელი სახლების ასაგებად განსაზღვრული ვადითა და განსაზღვრული პირობით.

ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით საჭიროდ სცნო, რათა მოკავშირე რესპუბლიკებს თავიანთ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილება შეეტანათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 1 აპრილის ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩათვალა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 და 84³ მუხლი და ამოშალა აგრეთვე კოდექსის ზოგიერთი მუხლის ნაწილი, რომელიც საერთოდ აღნაგობის უფლებას ეხებოდა.

პრეზიდიუმს შემოაქვს წინადადება 1949 წლის 1 აპრილის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ და პროექტი უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 1 აპრილის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით—საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ამით ამოიწურება ის ბრძანებულებანი, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცებულად წარმოუდგინა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X ყრილობა

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X ყრილობის 20 აპრილის დილის სხდომა დაიწყო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით. მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. ს. **კუზმინოვმა.**

შემდეგ ყრილობა გადავიდა საკავშირო პროფსაბჭოსა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა განხილვაზე. დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **პ. დ. ეფანოვი,** ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის საკარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **კ. მ. სკობლიკოვი.** პროფკავშირთა მოლოტოვის ოლქის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ს. ა. ბასკაკოვი.** შემდეგ სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის სახელით ყრილობას მიესალმა სამსხმელო საამქროს უფროსი ამხ. **პეტროვი.** ამხ. პეტროვის მისალმების შემდეგ კამათში გამოვიდნენ ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ს. ი. ზაიცევი,** მოსკოვის კრასნოხოლმსკის კამეოლური კომბინატის ქვეოსტატი, სუპეთესო ბარისხის ბრიგადების წოდების მოსამოვებლად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ა. ს. ჩუტკიხი,** მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამეწარმეო ორგანიზების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ე. ოიდკო.**

დილის სხდომის დასასრულს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით ყრილობას მიესალმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

— მისალმება, რომელსაც მე თქვენ გადმოგცემთ,—ამბობს ლუი საიანი,—არის აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა მისალმება საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი. ყველა ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას თავის მოღვაწეობასა და თავისი გავლენის გაფართოებაში ყოველთვის შეეძლია დაეყრდნოს სსრ კავშირის პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მხარდაჭერასა და დახმარებას. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ მთელ მსოფლიოში მილიონობით და მილიონობით მშრომელი—მამაკაცები და ქალები, როდესაც ისინი წარმოთქვამენ ამხანაგ სტალინის სახელს, ამ სახელს წარმოთქვამენ ისეთივე ენთუზიაზმით, როგორსაც თქვენს ყრილობაზე ვხედავ. **(მეტსარე, ხანგრძლივი ტაში, მთელი დარბაზი ფეხზე დგება).** მსოფლიო პროფკავშირული ერთიანობა ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. ერთიანობის საფუძველზე მთელი მსოფლიოს მშრომელებს შეეძლათ ეკარგინ რწმენითა და დიდი წარმატებით დაიცვან მშეიდობა საერთაშორისო მასშტაბით.

ლუი საიანის გამოსვლის შემდეგ ყრილობის 20 აპრილის დილის სხდომა დაახურა.

* * *

ყრილობის 20 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა არგანზე. კამათში გამოვიდნენ პროფკავშირთა უკრაინის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. გ. ელანბანოვი,** რსფსრ დამსახურებული მასწავლებელი, ქალაქ ტამბოვის საშვილო სკოლის დირექტორი ამხ. **ა. ა. ანდრეევი.** შემდეგ ყრილობას მიესალმა დედაქალაქის ბოინერთა დელეგაცია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. **ს. ი. ვავილოვმა,** რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ, პროფკავშირთა X ყრილობას მეცნიერთა სახელით გადასცა მბრძანალე სალამი.

აკადემიკოს ვავილოვის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კამათში გამოვიდა ლენინგრადის ფაბრიკა „სკოროხოდის“ სტახანოველი, პროფკავშირთა X ყრილობის აღსანიშნავად პროფკავშირების შეჯიბრების ინიციატორი ამხ. **ო. ი. ბელოუსოვი,** სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **გ. ნ. პეტელინი,** მძიმე მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ნ. იაროსლავცევი,** სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი **ვ. ა. ზოტოვი,** პროფკავშირთა ყაზახეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ვ. ვეიხანოვი.**

საღამის სხდომის დასასრულს კოლმეურნეობა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციის სახელით ყრილობას მიესალმა სვერდლოვსკის ოლქის კოლმეურნეობა „ზარია“ თავმჯდომარე **ა. პ. ტერნოვი.**

* * *

ყრილობის 21 აპრილის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საკავშირო პროფსაბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო. კამათში პირველი გამოვიდა ნავთის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. დ. ახუნდოვი.**

კომეკავშირელთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით ყრილობას მიესალმა საკავშირო ალეკსანდრეს-ძე.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. ა. მიხაილოვი.**

შემდეგ კამათში გამოვიდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ი. შეფჩენკო,** ავტომობილთა პროფკავშირთა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. ე. ფომინი.**

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიისა და საბჭოთა სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის სახელით ყრილობას მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი **ა. ვ. ფენიხინოვი.**

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარეს და იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს **ჯულიანო დი-ვიტორიოს,** რომელმაც საბჭოთა კავშირის მშრომელებს სალამი გადასცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით. იტალიელ ხალხს მშვიდობა სურს — ამბობს დი-ვიტორიო, — მას სურს მეგობრობა ხალხთა შორის და განსაკუთრებით მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, რომელმაც პირველმა აღიარა იტალიელ ხალხის, როგორც დამოუკიდებელი ერის ღირსება.

გრძელდება კამათი. სიტყვა ეძლევა უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. **კ. ს. ბუნჩეცოს** და მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. **ს. ტ. ბაბაიანს.**

სხდომის დასასრულს პოლონეთის პროფკავშირების სახელით ყრილობას მიესალმა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პორსკი,** რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვა

(ქ. თბილისი, ბერიას რაიონის ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო!

მიმდინარე წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამტკიცა საბჭოთა ქვეყნის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტი ნათლად ასახავს საბჭოთა ხალხის მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის მეუჩეჩებელ ზრდას და იმ უდიდეს უპირატესობას, რომელსაც იძლევა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება. ბიუჯეტი შედგენილია ხალხთა მეგობრობისა და თანასწორობის საფუძველზე და მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ინტერესთან. ამიტომ არის, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ ერთხმად დაუჭირა მხარი ბიუჯეტის დამტკიცებას.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღალითო ტემპებით ზრდა და საფინანსო მეურნეობის სისტემატური განმტკიცება შედგება კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკისა და იმ შორსმჭვრეტელური გენიალური ხელმძღვანელობისა, რომელსაც უწევს მთელ საბჭოთა ქვეყანას დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 1949 წლის ბიუჯეტი, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, საესებით უზრუნველყოფს ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის ამოცანების განხორციელებას, ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის განვითარება-განმტკიცებას და მოსახლეობის კულტურისა და კეთილდღეობის ამაღლებას.

როგორც ეკუთვნებისათვის ცნობილია, საქართველოს მრეწველობამ გასული სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა. რესპუბლიკის მთელმა მრეწველობამ საწარმოო გეგმა უცელულ ფასებში 107,4 პროცენტით შეასრულა და პროდუქციის გამოშვება წინა წლებთან შედარებით 15,5 პროცენტით გაზარდა. ამასთან დაკავშირებით ახალი ხუთწლედის სამი წლის გეგმა შესრულებულ იქნა 112,2 პროცენტით.

მრეწველობის დამამაყოფილებელმა მუშაობამ საშუალება მოგვცა ძირითადად შეგვესრულებინა 1948 წლის ბიუჯეტის სამეამოსავლო ნაწილი.

როგორც აღნიშნული იყო, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულ იქნა 100 პროცენტით, მაგრამ ამავე დროს შემოსავლის წყაროთა შორის დიდი გარღვევა გვქონდა საბრუნავი გაადასახადის ანარიცხის შესრულებაში, რაც შედგენდა 123,5 მილიონ მანეთს. ეს დანაკლისი ძირითადად შეკსებულ იქნა ჩვენი მრეწველობის, სამეურნეო ორგანიზაციებისა და სოფლის მეურნეობის ზეგეგმითი დაგროვებით. ბიუჯეტმა მიიღო 433,6 მილიონი მანეთი, ნაცვლად 348,6 მილიონი მანეთისა.

განსაკუთრებით გადააჭარბეს დაგროვების გეგმას კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, რომლებმაც ბიუჯეტს გეგმის ზევით მისცეს 39,0 მილიონი მანეთი, მათ შორის ჩაის ტრესტმა 24,6 მილიონი მანეთი და საქპურტრესტმა 9,4 მილიონი მანეთი. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გეგმის ზევით მისცეს ბიუჯეტს 4.300 ათასი მანეთი, კომუნალური მეურნეობის საწარმოებმა 19.100 ათასი მანეთი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა 22.700 ათასი მანეთი.

ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ ხორცის და რძის მრეწველობის და კინემატოგრაფიის სამინისტროებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება და ბიუჯეტს დააკლეს 15,2 მილიონი მანეთი.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა 1948 წლის ბიუჯეტის შესრულება და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები და გასავლის მიმართულება. მე არ გავიმეორებ აღნიშნული ბიუჯეტის მონაცემებს, მივაქცევ ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებული ბიუჯეტის შესრულებასთან.

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვრება 2.500,0 მილიონი მანეთით, ე. ი. იზრდება გასულ წელთან შედარებით 160 მილიონი მანეთით.

როგორც პროექტი ითვალისწინებს, ბიუჯეტის შემოსავლის 64 პროცენტს შეადგენს სოციალისტური საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მიღებული თანხები. ყველაზე დიდი ხვედრითი წონა შემოსავალში უკავია ბიუჯეტის გადასახადის ანარიცხებს და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ანარიცხებს. მაშასადამე, ბიუჯეტის წარმატებით შესრულება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის დარგების კარგ მუშაობასთან, პირველ რიგში მრეწველობის მიერ საგეგმო დავალებების შესრულებასთან.

ჩვენი მრეწველობის ყველა დარგის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს 1949 წლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება და ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე დამთავრება.

ამ მიტად მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად საჭიროა მობილიზებულ იქნას მუშათა ფართო მასების და იხელმძღვანელებენ ყურადღება, რათა უზრუნველყოფთ წარმოების ტემპების სისტემატური ზრდა, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ახალი მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის და წარმოების სიმძლავრეთა უკეთესად და მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

მიმდინარე წელს ძიტად სერიოზული საწარმოო დავალება აქვს საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მრეწველობას, რომლებიც ძირითადად ამარაგებენ რესპუბლიკის მოსახლეობას საკვები პროდუქტებით და ფართო მოხმარების საგნებით.

სახალხო მეურნეობის გეგმით 1949 წელს საგრძნობლად იზრდება ჩაის, საკონდიტრო ნაწარმის, ღვინის, ლუდის, მინერალური წყლების, ძეხვეულის, ყველის, ბამბეულის, აბრეშუმის, შალის ქოვილების, ფეხსაცმლის, ტყავის, ავეჯის და სხვა ნაწარმის გამოშვება.

საშენ მასალათა მრეწველობამ მკვეთრად უნდა გაზარდოს სამენი მასალები: აგურისა, კრამიტის, ბუნებრივი ქვის (ტკლარის, მარნეულის, თეძამის) გამოშვება, აგრეთვე უნდა მოაგვაროს ახალი სამენი მასალის გამოშვება, როგორიცაა: კირ-პუცოლანის ცემენტი, თაბაშარი და სხვა.

როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, საქართველოს მრეწველობამ წარმატებით დაამთავრა პირველი კვარტალი. თითქმის ყველა სამრეწველო სამინისტრომ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს გეგმა. მსუბუქი მრეწველობის 40 საწარმოდან გეგმა ვერ შეასრულა 6 საწარმომ, ადგილობრივი მრეწველობის 18 საწარმოდან ორმა, კვების მრეწველობის 110 საწარმოდან 33-მა. უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს ნატურალური პროდუქციის გამოშვების მხრივ.

საჭიროა ჩვენი სამრეწველო სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა მეორე კვარტალში შეაჯამონ პირველი კვარტალის დანაკლისი და ისიც მიიღონ მხედველობაში, რომ მეორე კვარტალის გეგმა მნიშვნელოვნად მეტია პირველ კვარტალთან შედარებით.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მრეწველობის მუშაობის ზოგიერთი ხარისხობრივი მაჩვენებლებზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორგორც მოახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ბიუჯეტის შესასრულებლად. საკითხი შეეხება პროდუქციის ასორტიმენტის ხარისხის და თვითღირებულების გეგმების შესრულებას. ასორტიმენტის და ხარისხის გეგმების შესრულების საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია ჩვენს სამრეწველო საწარმოებში. ზოგიერთი ხელმძღვანელი უფრო მეტად იმის ცდილობს, რომ გეგმა შეასრულოს მხოლოდ საერთო პროდუქციის მიხედვით და არ იცავს ასორტიმენტის და ხარისხის მაჩვენებლებს. მაგალითად, სამკერვალო მრეწველობის საწარმოები სისტემატურად არღვევენ ასორტიმენტს, აჭარბებენ გეგმებს ნაკლებ შრომატევად პროდუქციაზე, ხოლო უფრო საჭირო, მაგრამ შრომატევადი ნაწარმის გეგმას არ ასრულებენ. მეორე სამკერვალო ფაბრიკამ 1948 წელს გეგმით გათვალისწინებული 11 ნაწარმიდან 7 ნაწარმის გეგმა არ შეასრულა; მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკამ 20 ნაწარმიდან შეასრულა მხოლოდ 11-ის გეგმა.

სამკერვალო მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალი ხარისხისაა და არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. შემოწმებით გამოირკვა, რომ 1948 წლის განმავლობაში სამკერვალო მრეწველობის მიერ გამოშვებული 20 პროცენტზე მეტი პროდუქცია არ შეესაბამებოდა დაწესებული ხარისხს, რის გამო მაღალი ხარისხიდან გადაყვანილ იქნა დაბალ ხარისხში. პირველი სამკერვალო ფაბრიკის პროდუქციიდან გადაყვანილია დაბალ ხარისხში — 24,3 პროცენტი, მეშვიდე ფაბრიკის პროდუქციიდან — 25,4 პროცენტი. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკამ გამოუშვა მოზარდთა უხარისხო ტანისამოსი 23 პროცენტის ოდენობით; მსგავსი დარღვევები მრეწველობის სხვა დარგებშიც არის.

ასორტიმენტის დარღვევა და პროდუქციის დაბალი ხარისხი - აძნელებს შეკვრილი ტანისამოსის რეალიზაციას, რაც ცუდ გავლენას ახდენს საწარმოთა მუშაობაზე და მათს საფინანსო მდგომარეობაზე.

საჭიროა ჩვენი სამრეწველო სამინისტროებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, საწარმოთა დირექტორებმა მიიღონ გადაჭრილი ზომები, რათა მიმდინარე წელს მკვეთრად გაუმჯობესონ პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი. სავსებით უნდა აღიკვეთოს შეუწყნარებელი პრაქტიკა, როდესაც საწარმოო გეგმები სრულდება ასორტიმენტისა და ხარისხის დარღვევით.

საწარმოთა რენტაბელობის ასამაღლებლად და ბიუჯეტით დაწესებულ გადასახადთა უზრუნველსაყოფად უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა მრეწველობის რენტაბელობის საკითხს, ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ რენტაბელობის მისაღწევად საჭიროა „უუაირათობის მოსპობა, მრეწველობის შინარესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ყველა ჩვენს საწარმოში, თვითღირებულების სისტემატური შემცირება, შინასამრეწველო დაგროვების გაძლერება მრეწველობის გამოუკლებლივ ყველა დარგში".

ამხანაგ სტალინის ეს მითითება ჩვენი სამეურნეო მუშაკების ყოველდღიურ საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

გასულ წელს სამრეწველო სამინისტროებმა საგრძნობი მიღწევები მოიპოვეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში და მოგვცეს 70 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი ეკონომია, რამაც საშუალება მისცა ჩვენს რესპუბლიკას წარმატებით შეესრულებინა ამხანაგ სტალინის წინაშე ნაკისრი ვალდებულება გეგმის ზევით 155 მილიონის დაგროვების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, თვითღირებულების შემცირების მხრივ ჩვენი მრეწველობის ცალკეულ დარგებს ახასიათებს მნიშვნელოვანი ფეფექტები, რის შესახებაც არ საკმაოდ იყო თქმული. ამ დეფექტების ლიკვიდაცია წარმოადგენს სოციალისტური დაგროვების დამატებით წყაროს.

საჭიროა განუხრელად განვახორციელოთ პარტიის XIV ყრილობის დირექტივა მატერიალური სახსრების მომჭირნეობით გამოყენების შესახებ. თვითეულმა საწარმოომ უნდა დასახოს კარგად მოფიქრებული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ხარჯების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციას, ნედლეულის, მასალისა და საწვავის ნორმების შემცირებას.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას სპარუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების შესახებ. სპარუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება საშუალებას გვაძლევს გავათავისუფლოთ სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის დიდი მატერიალური რესურსები.

სპარუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ არ დავუშვათ სასაქონლო-მატერიალურ - ფასეულობათა დაგროვება ნორმებს ზევით და შეამცირით იგი მხოლოდ აუცილებელ მინიმუმამდე.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მთელ რიგ სამრეწველო და სამეურნეო ორგანიზაციებს ჰქონდათ ნედლეულის, მასალების, დაუმთავრებელი ნაწარმისა და მზა პროდუქციის დიდი ზენორმატიული ნარჩენები.

უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ფართოდ გაიშალა მოძრაობა სპარუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის. მრავალმა საწარმომ აიღო კონკრეტული ვალდებულებანი სახსრების ბრუნვის დაჩქარების და სპარუნავი სახსრების განთავისუფლებისათვის. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიების დღემდე კიდევ არ ეჩვენა საკმაო ყურადღება და მთელ რიგ საწარმოებში მან ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება.

საჭიროა ჩვენი საწარმოების ხელმძღვანელებმა კარგად შეისწავლონ წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ყველა დეტალი, აგრეთვე წარმოების ეკონომიკა და ფინანსები და გაშალონ მუშაობა ყველა უბანზე მუშაობის გასაუმჯობესებლად.

* * *

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობის შედეგად საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებას. 1948 წელი იყო ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების წელი.

გასულ წელს საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოძრაობა უხვი მოსავლიანობის მისაღებად, რაც დასტურდება იმით, რომ, თუ 1947 წლის მოსავლიანობის მაჩვენებლებით მთავრობის ჯილდო მიიღო 1.677 კაცმა, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის წოდება 260 კაცმა, 1948 წლის მოსავლიანობის მაჩვენებლების მიხედვით წარდგენილია საკავშირო ორგანოებში 4.601 კაცი, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის წოდებაზე—743 კაცი.

. ეს შეეხებიდი ის მიღწევებზე, რომლებიც საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ მოიპოვა გასულ წელს სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე მომდინარე წელს, რადგანაც ეს საკითხები საკმაოდ იყო გაშუქებული საკართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე და რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. შეეხები მხოლოდ საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობას.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად და ხარისხიანად იქნება ჩატარებული საგაზაფხულო სამუშაოები. მიუხედავად ამისდის არახელსაყრელი პირობებისა, საგაზაფხულო სამუშაოები გასულ წელთან შედარებით უკეთესად მიმდინარეობს. ამავე დროს ცალკეული რაიონები საგრძნობლად ჩამორჩებიან. მხედველობაში მაქვს პირველ რიგში თავთავიანი კულტურების ბრუნვა და მზესუმზრაას თესვის მიმდინარეობა, რომელთა თესვის აგროტექნიკური ვადები გასულია.

15 აპრილისათვის თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 24,8 პროცენტით. თესვაში ჩამორჩენილ ახალქალაქის, ბორჯომის, წალკის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და დმანისის რაიონები; ჯერაც არ შესდგომიან თესვას ბოგდანოვკისა და ყაზბეგის რაიონები. მზესუმზრაას თესვის გეგმა შესრულებულია 84,3 პროცენტით; ჩამორჩენილან თესვაში სიღნაღის რაიონი, რომელსაც თესვის გეგმა შესრულებული აქვს 78,5 პროცენტით, თეთრი წყაროს რაიონი—56,5 პროც., გურჯაანის — 72,8 პროც., თბილისის — 79,5 პროც. და საგარეჯოს—46,4 პროცენტით.

ყველასათვის ცნობილია, რომ საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენა, თესვის აგროტექნიკური ვადების დარღვევა უარყოფით გავლენას. ახდენს მოსავლიანობაზე. საჭიროა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სახის სამუშაოთა ხარისხიანად ჩატარებას, რაზედაც დამოკიდებულია მიმდინარე წლის მოსავლიანობის ბედი.

* * *

სოციალისტური მშენებლობის განვითარება მკაფიო გამოხატულებას პოულობს 1949 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯების მოცულობაში.

მიმდინარე წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით განსაზღვრება 292,3 მილიონი მანეთით და არაცენტრალიზებული დანახარჯების ხაზით—142,4 მილიონი მანეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური მშენებლობის სახსრებს მთელი რიგი ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად იყენებენ. მართალია, გასულ წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით კაპიტალური მშენებლობის გეგმა მთლიანად შესრულდა, მაგრამ მთელი რიგი ორგანიზაციები ცუდად აწარმოებენ კაპიტალურ მშენებლობას, უშვებენ გადახარჯვას, მეტისმეტად აჭიანურებენ მშენებლობათა დამთავრებას და საექსპლოატაციოდ გადაცემას, ვერ უზრუნველყოფენ სამუშაოთა სათანადო ხარისხს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს საბინაო და კომუნალური მშენებლობის ხაზით, რომელსაც რაიაღმასკომების კომუნალური განყოფილებები აწარმოებენ.

გასულ წელს უძაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე აღენიშნე ზოგიერთი შემთხვევა მშენებლობის შეუწყნარებელი გაჭიანურებისა სხვადასხვა რაიონში. სამწუხაროდ, მშენებლობის გაჭიანურების და გადახარჯვის ფაქტები კიდევ არის კასპის, ქარელის, ჩხოროწყუს, ახმეტის და სხვა რაიონებში, რაც იმით აიხსნება, რომ ამ საქმეს სრულიად არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ რაიაღმასკომები და პირველ რიგში მათი კომუნალური განყოფილებები.

მთელ რიგ რაიონებში ისეთ მრავალფეროვან და რთულ მეურნეობას, როგორიცაა საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ხელმძღვანელობენ მოუმზადებელი და ზმირად ტექნიკურად უეცოდნარი ადამიანები (მაგალითად, სარეკერში, ჩხოროწყუში, ყვარელში, წალენჯიხაში, ტყიბულში და სხვ.). რაიონების კომუნალური განყოფილებების 76 გამგიდან 24 კაცს ტექნიკური განათლება არა აქვს.

რაიაღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობას და არსებული ფონდის მოვლა-პატრონობას, თვალყური ადევნონ სახსრების სწორად გამოყენებას, მუშაობის ხარისხს, ობიექტების დროზე დამთავრებას და გადახარჯვის ლიკვიდაციას.

კომუნალურ განყოფილებათა სათაოში უნდა დავაყენოთ საქმიანი, ტექნიკურად მომზადებული ადამიანები, რომლებსაც შესწევთ დავალებული საქმის შესრულების უნარი.

ფულადი და მატერიალური რესურსები ისე უნდა განაწილდეს, რომ არ მოხდეს მათი დაქსაქსვა და მიღებულ იქნას უფრო სწრაფი ეფექტი.

* * *

უკანასკნელ ხანებში საგზაო მშენებლობა რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მშენებლობის ტემპები ვერ უზრუნველყოფენ იმ დიდ საშუალთა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით.

მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს 90 მილიონადე მანეთის მოცულობის საგზაო სამუშაოები, რაც 33 პროცენტით აღემატება 1948 წელს შესრულებულ სამუშაოს.

აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. საკავშირო მთავრობამ წელს დიდი დახმარება გაგვიწია სახსრების, მანქანებისა და მექანიზმების დამყოფოთ. საჭიროა საგზაო სამმართველომ მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოიყენოს ეს საშუალებანი.

1949 წლის საგზაო სამუშაოთა შესრულებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით რაიონებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოფ საგზაო მშენებლობა მუშახელით, ტრანსპორტითა და ინერტული მასალით.

მთელმა რიგმა რაიონებმა სერიოზულად მოაკიდეს ხელი საგზაო მშენებლობას და გადაჭარბებით ასრულებენ საგზაო სამუშაოთა გეგმებს. ასეთებია: ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, სიღნაღის, თეთრი წყაროს, ზნაურის, მახარაძის, ჭიათურის, ლანჩხუთის და სხვა რაიონები. გასაგებია, რომ ამ რაიონებში გზები უკეთეს მდგომარეობაშია.

სამწუხაროდ, მთელი რიგი რაიონები საგზაო მშენებლობის შეუფასებლობას ეჩენენ და სისტემატურად არ ასრულებენ დაგალებებს ამ დარგში. ასეთ რაიონებს ეკუთვნიან: ადიგენის, კასპის, თიანეთის, ქუთაისის, ხობის, სტალინირის, ტყიბულის და სხვა რაიონები. ამიტომაა, რომ ამ რაიონების გზები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

აუცილებელია უახლოეს ხანში საგზაო სამმართველომ და რაიონებმა მოახდინონ გარდატეხა მუშაობაში, შეასრულონ ყველა საგზაო სამუშაო და ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყონ 1949 წლის საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხს. არ უნდა განმეორდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ახლად გაყვანილი ან კაპიტალურად შეკეთებული გზა იმავე წელს მოითხოვდეს შეკეთებას.

უნდა ავამაღლოთ ჩვენი საგზაო-საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელი მუშაკებისა და კოლმეურნეობებში გამოყოფილი საგზაო ბრიგადების როლი და პასუხისმგებლობა. საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ყველა მუშაკმა პასუხი უნდა აგოს მისთვის მიმაგრებული გზის მდგომარეობისათვის.

* * *

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო საბინაო მშენებლობას — საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც მიმართულია მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ცალკეული საწარმოების, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ამის გამო საბინაო მშენებლობის გეგმები სისტემატურად არ სრულდება და კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის საერთო შესრულებას ჩამორჩება.

მაშინ, როცა მთლიანად რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა 1948 წლის გეგმა 94 პროცენტით შესრულდა, საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 85 პროცენტით, ხოლო საექსპლოატაციოდ გადაცემულია გეგმით გათვალისწინებული ფართობის—72,2 პროცენტი.

განსაკუთრებული ჩამორჩენა აქვს ქვახანჭირის მრეწველობას, რომელმაც გეგმა შეასრულა 62,6 პროცენტით; ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გეგმა შეასრულა 73 პროცენტით, კვების მრეწველობის სამინისტრომ — 75 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ—66 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — 55 პროცენტით, და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მხოლოდ 15,5 პროცენტით.

საბინაო მშენებლობის ტემპების ასეთი შეუწყნარებელი ჩამორჩენა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ უწყებებისა და ორგანიზაციების ცალკეული ხელმძღვანელები საკმაოდ არ ზრუნავენ მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

უკეთეს მდგომარეობაში როდია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საქმეც, რომელსაც სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას აქცევს. მაგრამ მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კომუნალური ბანკის ხაზით გამოყოფილი იყო კრედიტი 20 მილიონი მანეთის რაოდენობით, მაგრამ ამ თანხიდან ათვისებულ იქნა მხოლოდ 13,9 მილიონი მანეთი. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გაცემული კრედიტები ყველაზე არადამაკმაყოფილებლად იყო გამოყენებული ქალაქ ფოთში, გორში, სტალინირში, თელავში, მახარაძეში, გურჯაანში, ლაგოდეხში და სიღნაღში, სადაც ათვისების პროცენტი უდრიდა 23-59 პროცენტს.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის XIX საკალაქო პარტიულ კონფერენციაზე სერიოზული ყურადღება მიაქცია ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას. მან აღნიშნა, რომ „უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისადმი. საჭიროა თბილისის აღმასკომმა შეიმუშაოს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონთა კეთილმოწყობის გეგმა. აუცილებელია ამ რაიონებში ყოველწლიურად აშენდეს თითო — ორ-ორი კეთილმოწყობილი ქუჩა, იქ გაყვანილ იქნას წყალსადენი და შემლებისამერ საკანალიზაციო ქსელი. ინდივიდუალურ მშენებლებს უნდა გამოეყოთ ნაკვეთები მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ქუჩების გაყოლებით. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ უზრუნველყოთ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლა და გეგმიანობა შევიტანოთ ამ საქმეში".

ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ არა მარტო თბილისის პირობებში, არამედ სხვა ქალაქებშიც, პირველ რიგში ქ. ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვ.

ამხანაგ ჩარკვიანის დაკალებით აქაამად მუშავდება თბილისში საეკალილური სამშენებლო არტელების ჩამოყალიბების და ინდივიდუალური ბინებისათვის მზა დეტალების საქარხნო წესით დამზადების საკითხი. ამ ღონისძიების გატარება მნიშვნელოვნად გაიაა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვის დასასრული

ფებს და გააადვილებს ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას. სასურველია ასევთვე ღონისძიებანი დამუშავდეს და გატარდეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

საკითხია ჩვენმა საბჭოთა და სამეურნეო ძუშაკებმა შეიგნონ, რომ მარტო სახელმწიფო ხაზით წარმოებული ბინათმშენებლობა ვერ უზრუნველყოფს მუშა-მოსაქმეთა მზარდ მოთხოვნილებას. ყოველმხრივ უნდა შეეფუფყოთ ხელი ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას, რაც ინიშვნელოვნად გაუმჯობესებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებს. ამ ღონისძიების წარმატებით შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დახმარებას გაუწევენ მშენებლებს ადგილობრივი ნაკეთილი გამოყოფაში, პროექტის დროულად დამტკიცებაში და ადგილობრივი სშენი მასალის გამოყოფაში.

დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სამინო მშენებლობის დარგში მომდინარე წელს. გეგმით 1949 წელს ბინათმშენებლობაზე რესპუბლიკაში უნდა დაიხარჯოს 101 მილიონი მანეთი; უნდა დამთავრდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ 116.000 კვადრატული მეტრი ფართობი. გარდა ამისა, ინდივიდუალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 25 მილიონი მანეთი.

დიდი მიღწევები გვაქვს სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დარგში. სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, სოფლად ახლებული სახლების 50 პროცენტი აშენებულია საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

მომდინარე წელს სახალხო მეურნეობის გეგმით საქართველოში სოფლად უნდა აშენდეს 60.000 სახლი. ამ სახლების მშენებლობა მოხდება კოლმეურნეთა შემოსავლის დახაზოგდან. საკიროა ჩვენმა რაიაღმასკომებმა და სოფლის საბჭოებმა, პირველ რიგში კი კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილობრივი სშენი მასალით, მუშახელითა და ტრანსპორტით. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელმაც უნდა მიაწოდოს სოფლებს ისეთი სშენი მასალები, რომლებიც ადგილობრივ არ მოიპოვება: ხე-ტყე, ლურსმანი, მინა, კარ-ფანჯრის დეტალები, კოუები და სხვ.. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არქიტექტურულ სამმართველოსთან ერთად უნდა დამუშაოს რამდენიმე სახის ინდივიდუალური ბინების პროექტი, ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებით და მოამზადოს კოლმეურნეობები ამ პროექტებით.

* * *

საბჭოთა ადამიანებისათვის ზრუნვა ჩვენი წყობილების განუყოფელ თვისებას წარმოადგენს; მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობებისა გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, მუდამ მოქცეულია პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში.

უბარათო საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საფუძველზე და საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა, რომელიც 1948 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 12,2 პროცენტით.

ბიუჯეტის შესრულება საგრძნობლად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიშლება საბჭოთა ვაჭრობა და როგორ შეასრულებენ საავჭრო ორგანიზაციები საქონელბრუნვის გეგმას. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მარტო ბრუნვის გადასახადის აანრიცხვით უნდა შემოვიდეს 1.324,5 მილიონი მანეთი, ანუ ბიუჯეტის საერთო მოცულობის თითქმის 53 პროცენტი.

სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის გადიდება საშუალებას გვაძლევს გავაფართოოოოთ საქონელბრუნვის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 15,5 პროცენტით.

ვაჭრობის გასაშლელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 28 თებერვლის დადგენილებას „1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ".

პარტიისა და მთავრობის ეს ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანებისათვის სტალინური მზრუნველობის ახალ გამოხატულებას და ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისაკენ მიმართული ეს გადაწყვეტილება საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გაგაიდიოთ მოსახლეობის მოხმარების დონე. 1949 წელს ბოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულია სამრეწველო და სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდების მნიშვნელოვანი გადიდება. მაგალითად, ბაამეულის ქსოვილის რესპუბლიკის საბაზრო ფონდი 1949 წელს იზრდება გასულ წელთან შედარებით 17,5 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა — 51 პროცენტით, შალის ქსოვილისა — 86 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 46 პროცენტით, სპანლა—105 პროცენტით. განსაკუთრებით დიდდება ფონდები სოფლად ვაჭრობისათვის, რომლის საერთო ზოდა აღწევს 40 პროცენტს.

საკონელბრუნვის გეგმის შესრულების მხრივ სავაჭრო ორგანიზაციებმა მიმდინარე წელი არადაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაიწყეს. საცალო საქონელბრუნვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 95 პროცენტით. გეგმის ყველაზე დაბალი შესრულება აქვთ აფხაზეთის და აჭარის სავაჭრო ორგანიზაციებს.

ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის ბაზებსა და სავაჭრო ქსელში დაგროვილი საქონლის დიდი ზედორმატიეული ნაშთები. ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ საქონლის ნაშთების დაგროვება ძირითადად გამოწვეულია: ცალკეული სახის საქონლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხით, სამრეწველო ნაწარმის ასორტიმენტის შეუსაბამობით' მყიდველთა მოთხოვნილებებთან და სავაჭრო ქსელში საქონლის ფართო ასორტიმენტის უქონლობით, იმით, რომ მოფიქრებულად არ ხდება საქონლის განაწილება ცალკეულ რაიონებს შორის მოსახლეობის რეალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, აგრეთვე სავაჭრო ქსელში მომხმარებლის არასაკმაო კულტურული მომსახურებით.

საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საბჭოთა მოხმარებელთან ძლიერ გაადიდა თავისი მოთხოვნები ფართო მოხმარების საქონლისადმი, და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა უნდა წარმართონ ამ მოთხოვნათა შესაბამისად.

ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირმა და ყველა სავაჭრო ორგანიზაციამ უნდა მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ფართოდ გასაშლელად, რათა უზრუნველყონ 1949 წელს საქონელბრუნვის გეგმის აუცილებელი შესრულება.

* * *

მინდა შევეხო კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან.

საკითხი ეხება მოსახლეობის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სოფაკახ-საყოფაცხოვრებო ნივთების, სანტექნიკური მოწყობილობისა და ბინების შეკეთებას, ტანსაცმლის გარეცხვას, დაუთოებას, გაწმენდას და სხვა მსგავს მომსახურებებს.

საკითხს და უახლოეს მომავალში გამოასწოროს საბინაო სამმართველოების ეს ნაკლი.

* * *

რესპუბლიკის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე.

ბიუჯეტის საერთო მოცულობიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება გათვალისწინებულია 1.636,4 მილიონი მანეთით, რაც შეადგენს ბიუჯეტის 65,6 პროცენტს.

ეს ფაქტი ნათლად გამოხატავს პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს მზრუნველობას საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამ ხარჯების უმეტესი ნაწილი, სახელდობრ 1.056 მილიონი მანეთი, მოხმარდება სახალხო განათლების შემდგომ განვითარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, კადრების აღმზადებას, მეცნიერების, ხელოვნების ზრდას და სხვ.

ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის, საქალაქო და სასოფლო საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების, სანატორიუმების ქსელისა და საწოლების ფონდის გაფართოებისათვის.

1949 წელს მოსწავლეთა რიცხვი მარტო დაწყებითის, რვაწლიან და საშუალო სკოლებში 47 ათასით გადიდდება და 745 ათასს მიაღწევს.

თუ ყველა სახის საერთო-საგანმანათლებლო, სპეციალურ და უმაღლეს საგანმანათლებელ ავიღეთ, მიმდინარე წელს 893 ათასზე მეტი კაცი ისწავლის. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი სწავლობს, რაც ჩვენი კულტურის ზრდის ყველაზე კარგ საბუთს წარმოადგენს.

ამასთან ერთად ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახსრები საკლუბო დაწესებულებების, მასობრივი ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების ქსელის გაფართოებისა და სხვა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვის.

ბიუჯეტით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გათვალისწინებულია 430 მილიონ მანეთამდე, რაც გულისხმობს ფართო ღონისძიებათა გატარებას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში.

ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის, საქალაქო და სასოფლო საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების, სანატორიუმების ქსელისა და საწოლების ფონდის გაფართოებისათვის.

1949 წელს მოსწავლეთა რიცხვი მარტო დაწყებითის, რვაწლიან და საშუალო სკოლებში 47 ათასით გადიდდება და 745 ათასს მიაღწევს.

თუ ყველა სახის საერთო-საგანმანათლებლო, სპეციალურ და უმაღლეს საგანმანათლებელ ავიღეთ, მიმდინარე წელს 893 ათასზე მეტი კაცი ისწავლის. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი სწავლობს, რაც ჩვენი კულტურის ზრდის ყველაზე კარგ საბუთს წარმოადგენს.

ამასთან ერთად ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახსრები საკლუბო დაწესებულებების, მასობრივი ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების ქსელის გაფართოებისა და სხვა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვის.

ბიუჯეტით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გათვალისწინებულია 430 მილიონ მანეთამდე, რაც გულისხმობს ფართო ღონისძიებათა გატარებას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ წარმატებისა, რაც მოგვეპოვება ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებს ჯერ კიდევ აგრეთვე ის დეფიციტები აქვთ. საჭიროა აგრეთვე ითქვას, რომ ზოგიერთი სამედიცინო მუშაკი არ გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია მას საბჭოთა საზოგადოების წინაშე. არის ფაქტები, რომ ცალკეული ექიმები უყურადღებოდ ეპყრობიან ავადმყოფს და არ იჩენენ იმ მზრუნველობას, რომელიც მოეთხოვება საბჭოთა ექიმს.

სამკურნალო დაწესებულებათა შიმოწერება გვიჩვენებს, რომ ნაწილი საავადმყოფოებისა, განსაკუთრებით ახალქალაქის, წითელწყაროს, საგარეჯოს, წალკის, ქუთაისის და სხვა რაიონებში არ იცავენ საჭირო სანიტარულ წესებსა და სისუფთავეს, ექიმები და დასაალი სამედიცინო პერსონალი უპასუხისმგებლობას იჩენენ და ზშრიად არღვევენ სამკურნალო დაწესებულებისათვის გამოქეყნებულ წესებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, პირველ რიგში სამინისტრომ, გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად. სახელმწიფოს მიერ საკმაოდ გამოყოფილი სამედიცინო ხელსაწყობები, მედიკამენტები, თეთრეული, საპნები და სხვა ყველა პირობას ქმნის, რომ მოსახლეობის სამკურნალო მომსახურება უკეთ იქნეს დაყენებული.

როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნა, „ჯანმრთელობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები თავიანთ შესაძლებლობს მოლიანად რომ იყენებდნენ, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჩვენში გაცილებით უკეთ იქნებოდა დაყენებული".

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში სრული წესრიგის დამყარებას, მათში უზრუნველყოფილ უნდა იქნას სისუფთავე, ხარისხიანი მკურნალობა და ავადმყოფთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება.

* * *

რამდენიმე სიტყვა ხელოვნებაზე.

ისევე, როგორც გასულ წლებში, 1949 წ. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯება ხელოვნების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

სხვა დარგებს შორის მომდინარე წელს დიდი ყურადღება ექცევა თეატრალურ ხელოვნებას. როგორც მოგეხსენებათ, ნაწილი თეატრებისა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას სპექტაკლების მხატვრული და იდეური ხარისხიანობისათვის.

მოუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ქართული საბჭოთა ორიგინალური და ნათარგმნი პიესების შექმნისათვის საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა (832 ათას მანეთამდე) და დაიწერა მრავალი დრამატურგიული ნაწარმოები, მხოლოდ ცალკეული მათგანი თუ შეეფერება მოთხოვნილებას და შესაძლოა გამოვიყენოთ ჩვენს თეატრებში.

თეატრალურმა ძოღეაწვებმა, ჩვენმა დრამატურგებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ საბჭოთა ძაყურებელი ითოხოვს მაღალი მხატვრული და იდეური შინაარსის სპექტაკლს, რომელიც გამოხატულებას უნდა პოულობდნენ ის გრძნობები და ინტერესები, რაც ასულდგმულებს თანამედროვე საბჭოთა ადამიანს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც ამ საკითხზე თქვა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თბილისში ამორჩეველთა წინაშე ჯერ კიდევ 1946 წელს. მან თქვა:

„ჩვენს თეატრებს დღემდე არ შეუქმნიათ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც სცენაზე განასახიერებდნენ ჩვენი დიადი ეპოქის გმირებს.

ხალხი ნიჭიერი ქართველი ინტელიგენციისაგან ძოელის თავის სამეცნიერო და ლიტერატურულ შემოქმედებაში, აგრეთვე ხელოვნების დარგის შემოქმედებაში სტალინური ეპოქის დიადი საქმეების ასახვას".

ამხანაგ ბერიას ამ მითითების განხორციელება ჩვენი ხელოვნების ყველა მუშაკის სახძოლო ამოცანაა.

დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში მუსიკალური კულტურის ყოველმხრივ განვითარებას. რესპუბლიკაში საკმაო რაოდენობით მოქმედებენ გუნდები და სხვა მუსიკალური ანსამბლები, რომლებიც სახელმწიფოსგან საფინანსო დახმარებას იღებენ.

ამ მხრივ. შეიძლება ითქვას, ერთგვარ გადაჭარბებასაც კი აქვს ადგილი. თვითეულ რაიონს, ქალაქს სურს შექმნას საკუთარი პროფესიული საგუნდო ანსამბლი, რომლის დატვირთვა რაიონის ფარგლებში, რასაკვირველია, შეუძლებელი ხდება და ამიტომ მოითხოვს სახელმწიფო დახმარებას.

ვფიქრობ, უფრო მიზანშეწონილია როგორც მხატვრული ღირსების, ისე საფინანსო თვალსაზრისით, ამ საკითხში გამსხვილების გზას დავადგეთ, შეკმნათ ნაკლები რაოდენობის, მაგრამ უფრო სრულყოფილი მუსიკალური ანსამბლები, რომლებსაც ბომსახურება უნდა გაუწიონ ყველა რაიონსა და ქალაქს. ამასთანავე ფართოდ უნდა გაიშალოს მოსახლეობის მხატვრული მომსახურება ადგილებზე თვითმოქმედი ანსამბლების საშუალებით, რომლებიც კულტურის სახლებთან, საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან უნდა არსებობდნენ.

ჩვენმა კომპოზიტორებმა უკანასკნელ წლებში მრავალი მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოები შექმნეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესი მათგანი, განსაკუთრებით კი წამყვანი კომპოზიტორები, უფრო გატაცებულნი არიან მსხვილი მუსიკალური ფორმებით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასობრივ მუსიკალურ პროდუქციას, როგორიცაა, მასობრივი სიმღერები, საგუნდო ნაწარმოებები, სასესტრადო მუსიკა და სხვ.

ჩამორჩენა გვაქვს აგრეთვე საბავშვო სასკოლო რეპერტუარისა და საბჭოთა არმიის სამწყობრო სიმღერების შექმნაში.

როგორც XIV პარტყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა „ჩვენმა კომპოზიტორებმა უნდა შექმნან ყველა ეანრის ახალი მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებებს, სტალინური ეპოქის ადამიანის სულიერ სახეს".

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ ჩვენს წინაშე დასახა უდიდესი ამოცანები სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურის ამაღლების საქმეში.

მომდინარე წელს საფუძველი უნდა ჩაეყაროს იმ საპასუხისმგებლო ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც იკისრეს საქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის წინაშე.

1949 წელს ჩვენ არა მარტო წარმატებით უნდა შეეასრულოთ სტალინური ხუთწლიანი გეგმა, არამედ შეექმნათ ყველა პირობა რესპუბლიკის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

გამოთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ქართველი ხალხი საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კელავაც დაუფალავად იბრძოლებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, გადალახავს ყოველ სიძნელეს და უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების 1949 წლის გეგმისა და ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებას.

ისე, როგორც ყველა საბჭოთა ხალხი, ჩვენი ხალხიც ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ, თანამებრძოლ ეპოქის უდიდესი ადამიანის, გენიალური სტალინის ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნიზმის ახალ ეტაპზეკენ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს და ბრძენ მასწავლებელს, ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორს მშობლიურ სტალინს! **(მეუხარე ტაში).**

დეპუტატ ნ. გ. გომელაურის სიტყვა

(წითელწყაროს რაიონი, წითელწყაროს ოს საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინური ხუთწლიანის ბრძოლა — რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა. ამ ეკონომიკის ამაშენებლის მოუთმენლად მოელის მთელი ქართველი ხალხი. აქ იქმნება ტკბილეული ბაზა ჩვენში მრეწველობის სხვადასხვა დარგებისა და კერძოდ ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. რესპუბლიკის მეტალურგიული ქარხანას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანს საქართველოს ინდუსტრია.

მეტალურგიული ქარხნის და ქალაქ რუსთავის მშენებლობა უკვე რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს. დამთავრებულია მშენებლობა და საექსპლოატაციოდ არის გადაცემული მთელი რიგი დამხმარე საამქროები, მათ შორის მექანიკური, ლითონსამსხმელო, სამშველო, ლითონის კონსტრუქციების, ელექტროსაარმატურო და სხვ.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობაზე ამ საამქროების შესახებ აღნიშნა, რომ თვითეული მათგანი „თავისი ოდენობით საშუალო ქარხანას არ ჩამოუვარდება".

გასული წლის გეგმა ამ საამქროებმა 103,7 ჯერ სიტყვიერად და სახელოვნოთ' 3.060 ათასი მანეთი დაუზოგეს. ასევე წარმატებით ასრულებენ ეს საამქროები საწარმოო გეგმებს 1949 წლის დასაწყისიდან. და დიდ დახმარებას უწევენ არა მარტო ჩვენს მშენებლობას, არამედ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებსა და მშენებლობებს.

იაპონის ბოლო რიგებებში ამუშავდა თბოელექტროსადგურის პირველი რიგი, რომელმაც მას შემდეგ მრავალი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა.

მოქმედ საამქროებში და თბოსადგურში უმთავრესად ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა მუშაობს. ეს ახალგაზრდები კვალიფიკაციას დაეუფლნენ საბჭოთა კაეშირის სხვადასხვა ქარხნებში. ეს კვალიფიკური მუშები ჩვენი ქარხნის ოჯრის ფონდი, ბევრი მათგანი გამოდიოდა კვალიფიკიური ოსტატები, ამიერად ეს მუშები დიდი წარმატებით მუშაობენ რთულ დანადგარებზე და მანქანებზე.

ინერგება და ფართოვდება ქალაქი რუსთავი. დღეისათვის დამთავრებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული 19 ათასი კვადრატული მეტრი მოდმეიი საცხოვრებელი ფართობი, სრული საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღისა და ბალის ახალი შენობები, კლუბი და სტადიონი.

რუსთავის მშენებლებს წელს დიდი გეგმა აქვთ შესასრულებელი. უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს მარტენის ორი ღუმელი და ბლუმინგი. ამ საამქროებთან დაკავშირებულია და უნდა დამთავრდეს მთელი რიგი დამხმარე ობიექტები, მიწოსქვეშა კომუნიკაციები და გზები. ამას გარდა წელს უნდა დამთავრდეს 15 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ბოლოსართის წყალსადენის მშენებლობაზე, რომელმაც ქალაქი რუსთავი და ქარხანა სასმელი წყლით უნდა მომარაგოს.

მიუხედავად იმისა, რომ წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა მშენებლობის ტემპი და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, მშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას. განსაკუთრებით ჩამორჩება ბლუმინგის მშენებლობა და მონტაჟი. მარტენის ღუმელი მთლიანად უზრუნველყოფილი არ არის დანადგარებით.

ქალაქ რუსთავის მშენებლობა და კეთილმოწყობა წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ სერიოზულ ჩამორჩენებს მაინც აქვს ადგილი ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში, რაც გამოსწორებულ უნდა იქნას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1948 წლის დასაწყისში შექმნა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

შარშან ქალაქის აღმასკომი ძირითადად ამარტის დაკომპლექტებაზე და საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგებაზე მუშაობდა. 1948 წელს დამტკიცებულმა ბიუჯეტმა ვეი უზრუნველყო სწრაფად ძმარი ქალაქის დაფინანსების დაკმაყოფილება.

ქალაქის საბჭოს აღმასკომმა შეამდგომლობა აღძრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე კომუნალური მოსახურების ობიექტების ამრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მანვეი. ადამიანობრივ გადაცემის საკმაე. ამისათვის კომუნალური ობიექტების დაფინანსებაზე საკმარია ნაცვლად 95 ათასი მანეთისა, რაც გათვალისწინებულია ამ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ჯამოყოფილ იქნას 300 ათასი მანეთი. ადამიანობრივის დაცვის ხაზით ქალაქ რუსთავში ჯეროვნობით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. არსებული ეკონომიკური კაბინეტები არასაკმაო და ეკონომიურ-ფინანსური. ასეთსავე მდგომარეობაშია საავადმყოფო, ეპიდემიური სადგური, საბავშვო ბაღი, ქალთა კონსულტაცია. და სხვ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებანი, მათ შორის სასწრაფო დახმარების სადგური, უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო ტრანსპორტით. ახალი სამკურნალო დაწესებულებების ინვენტარით უზრუნველყოფაზედ მიმდინარე წლისათვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 75 ათასი მანეთის ნაცვლად, საჭიროა გამოიყოს 150 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! მთელი ჩვენი ხალხი მონაწილეობს ქალაქ რუსთავისა და მეტალურგიული ქარხნის შექმნაში. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნა: „მეტალურგიული ქარხნის შექმნა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, საქართველოს ბოლშევიკებისათვის უდიდესი სპეციალ ნიშანია. ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ".

ჩვენ, რუსთავში მოქეშავენი, ყველაზე უკეთესად ვგრძნობთ იმ დიდ პატივნეელობასა და დამპრალებას, რასაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პირადად ამხანაგი კ. ჩარკვიანი ეწევენ მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს.

ორ წელიწადზე მეტია საქართველოს ახალგახმდობის ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი შეფობას უწევს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. პრაგალურგიანი ინდუსტრიზება, რომელსაც საქართველოს კომკავშირელი ორგანიზაციები უწევენ რუსთავის ახალგაზრდობას.

მთელი ჩვენი კოლექტივი ძალღონეს და გამოცდილებას არ დაზოგავს იმისათვის, რომ გაამართლოს ხალხისა და პარტიის ნდობა, საახალეოდ შესასრულოს მის წინაშე-მდგომი საპატიო ამოცანები.

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ვ. მ. მაზიაშვილის სიტყვა

(ცილინალის რაიონი, მაღაროს საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აქ წარმოდგენილი პროექტი გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვის.

გასულ წელს ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ეს წარმატებები შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ და დაგვისახა მორიგი ამოცანები.

სერიოზული მიღწევები მოიპოვა სიღნაღის რაიონმაც. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელების საფუძველზე სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების ხარისხი, რამაც უზრუნველყო მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლიანობის ზაზრდა.

1948 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფოები გეგმა შესრულებულ იქნა მთლიანად. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. დროულად შეკასრულეთ საწოლოო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დავალებანი.

ამასთან ერთად, თვალსაზრენებენ რა გასული წლის ნაკლოვანებებს, რაიონის მშრომელებმა დარაზმეული არიან ინსისთვის, რომ მომდინარე წელს უზრუნველყონ მაღალი მოსავლის მიღება, ბოლშევიკურად შესრულონ ის დავალებანი, რაც საფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ.

მომდინარეობს მუშაობა რაიონის სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობების კეთილმოწყობისათვის. მარტო წელს ელექტროფიკირებულ იქნა 12 კოლმეურნეობა. სამ სასოფლო საბჭოში მოვაწყეთ რადიოსადგური, რომელიც ემსახურების ბაიწევენ 15 კოლმეურნეობას. ეკვე 1.000-მდე კოლმეურნეს ოჯახში გაიყვანილია რადიოშეკრები. რაიონს 49 ელექტროენერგიდან 23 კოლმეურნეობაში გაყვანილია ტელეფონი, აშენებულია 6 საკოლმეურნეო ბანაო, გაყვანილია 7 ახალი წყალსადენი და სხვ.

შარშანდელი ბიუჯეტით რაიონში სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 7.718 ათასი მანეთი, რამაც უზრუნველყო რაიონის სასკოლო ქსელის მთლიანად დაფინანსება და შექმნა ყველგანაირ პირობები სკოლაში ნორმალური მუშაობისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. ამჟამად რაიონში მუშაობს 10 სასოფლო კლუბი, 13 ბიბლიოთეკა, ერთი კულტურის სახლი და საქალაქო ბიბლიოთეკა, 7 ეოხ-საკითხეკი.

როგორც საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. კვირკელიას მოხსენებიდან მოვისმინეთ, სიღნაღის რაიონის 1949 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილში 15.333 ათასი მანეთით და საგასაღო ნაწილში 15.333 ათასი მანეთით, 1948 წელთან შედარებით ზრდა უდრის 5,5 პროცენტს, ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელად ამაღლებისათვის.

ამხანაგებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 აპრილის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სიღნაღის რაიონის დაბა წინრიში საშუალო სკოლის შენობის აგება, რომელის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გათვალისწინებული იყო 750 ათასი მანეთის რაოდენობით. სკოლის შენგებლობა ღღესაც გრძელდება. იმისათვის, რომ დაჩქარდეს მისი დამთავრება, ვთხოვ სესიას ბიუჯეტში, დამატებით გათვალისწინის 150 ათასი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ საგფყეო მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ი. ჯაშის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1949 წლის ბიუჯეტი მოლიანად უზრუნველყოფს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ 1949 წლის საბალთა მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას. ამ ბიუჯეტში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საგფყეო მეურნეობის ხაზით გასატარებელ ღონისძიებათა დაფინანსებას.

